სადღესასწაულო დღეების მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: სადღესასწაულო დღეების მხადაჭერის 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი .

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით (აღდგომა , ბარბარობა, ახალი წელი) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების (70 წელს გადაცილებული მარტოხელა, მარტოხელა მშობელი,სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი, 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვები, პირველი ჯგუფის უსინათლო) საკვები პროდუქტებით მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები. (70წელს გადაცილებული მარტოხელა, მარტოხელა მშობელი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი, 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვები,პირველი ჯგუფის უსინათლო).

მუხლი 4. საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას რომელსაც, თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ, ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით, საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

გ) კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტი(ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 5. საკვები პროდუქტების გაცემის წესი და ოდენობა:

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს საკვები პროდუქტები მიეცემათ შემდეგი ოდენობით:
 თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფებს არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით ერთჯერადად, ხოლო სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე შესაძლებელია გაიცეს არაუმეტეს წელიწადში ორჯერ.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს, რეკომენდაციის მომზადების მიზნით მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

3. რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

4. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე